

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტში საინვესტიციო ფონდების ზედამხედველის პოზიციაზე:

ფასიანი ქაღალდების ბაზრის დეპარტამენტის ამოცანაა: საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ვაჭრობის სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- საინვესტიციო და საპენსიო ფონდების საზედამხედველო ჩარჩოს შემუშავება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;
- საინვესტიციო ფონდების და პორტფელების ფუნდამენტური ანალიზი, მათ შორის რისკების პროფილის შეფასება;
- საინვესტიციო და საპენსიო ფონდების ზედამხედველობა;

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება საფინანსო/საინვესტიციო/რისკების სფეროში;
- სასურველია პროფესიული სერტიფიკატის ქონა (CFA);
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
- საოფისე პროგრამების სრულყოფილად ცოდნა.

პიროვნული და სხვა უნარ-ჩვევები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კეთილსინდისიერება;
- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი,
- მიზანდასახულობა,
- თვითგანვითარების სურვილი,
- სხარტი აზროვნება, მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზის და სისტემატიზირების უნარი,
- შეზღუდული ინფორმაციის პირობებში გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი.

ხელფასი: 2500-3500 ლარი (დარიცხული) - განისაზღვრება გამოცდილებისა და განათლების მიხედვით

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2018 წლის 21 დეკემბრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მუთითეთ ვაკანსიის დასახელება- **საინვესტიციო ფონდების ზედამხედველი**.